<u>ოქმი N 11</u>

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეთერთმეტე სხდომის

14 სექტემბერი 2021 წელი

სხდომაზე საკრებულოს 34 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 24-მა (ოცდაოთხი) წევრმა.
(სია თან ერთვის)

ესწრებოდა: დ. მაღრაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

სხდომა გახსნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - ვახტანგ ღამბაშიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საკრებულოს თავმჯდომარის უკვე ყოფილი მოადგილის თეიმურაზ საყვარელიძის სახელს, მისი გარდაცვალების გამო.

<u>ვ. ღამბაშიძემ</u> - (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) სხდომას გააცნო დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

პირველი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თ. საყვარელიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

მეორე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია ,,ქართული ოცნება მრეწველებისა" და ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების" გაუქმების შესახებ.

მესამე - ზესტაფონის მუნიციპალური უძრავი ქონების პრივატიზების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ.

<u>ვ. ღამბაშიძ</u>ემ - (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა, დღის წესრიგის დასამტკიცებლად.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით დამტკიცდა დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

კ. გოჩელეიშვილმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი) დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მოითხოვა განმარტებები ფრაქციების იმ წევრებიდან, ვინაც დატოვეს ფრაქციები, მან მიიღო შესაბამისი პასუხიც და ამასთან მიეთითა რეგლამენტის დაცვისკენ.

მანვე საკითხების განხილვამდე დატოვა სხდომათა დარბაზი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თ.საყვარელიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

(მომხსენებელი ტ. ხუსკივაძე - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა კოლეგადეპუტატის გარდაცვალების გამო გამოთქვა გულისტკივილი.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თ. საყვარელიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო ცნობად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველებისა" და ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების" გაუქმების შესახებ.

(მომხსენებელი ტ. ხუსკივაძე - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ილია ფუტკარაძისა (შემ. N19/23212351-23 23.09.2021წ) და გალაქტიონ ვარდოსანიძის (შემ. N19/23212353-23; 23.09.2021წ) მომართვები. აღნიშნა, რომ 2021 წლის 23 აგვისტოს გაიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველებისა" და ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების" სხდომები.

ფრაქციის შემადგენლობები დატოვეს ამავე ფრაქციის წევრებმა, ირაკლი კვეტენაძემ, ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მრეწველებიდან, გოჩა მაჭავარიანმა და მამუკა კურტანიძემ ფრაქცია, ქართული ოცნება-კონსერვატორებიდან, შესაბამისად კანონმდებლობიდან გამომდინარე ამავე პერიოდიდან ფრაქციები ითვლება გაუქმებულად.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველებისა" და ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების" გაუქმების შესახებ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო ცნობად.

3. ზესტაფონის მუნიციპალური უძრავი ქონების პრივატიზების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი დ. მაღრაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი მოადგილე.)

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 19 აგვისტოს N22-222123171 (შემ. N12-13212311-23; 19.08.2021წ) მომართვა და განკარგულების პროექტი.

გ. გაბრიჭიძე - (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი) შეკითხვა დასვა მომხსენებლის მისამართით, მიწის ფასების სხვადასხვა ტარიფებით შეფასების საკითხზე, რაზეც მომხსენებელმა გააკეთა შესაბამისი განმარტება და აღნიშნა რომ,

გამოცხადებულ აუქციონში უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს მიიღოს მონაწილეობა.

გ. გაბრიჭიძე - (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი) კენჭისყრამდე დატოვა სხდომატა დარბაზი.

ვ. ღამბაშიძემ - (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 1
დამსწრე დეპუტატთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის)

ვ. ღამბაშიძემ - (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვახტანგ ღამბაშიძე**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 14 სექტემბრის სხდომაზე
დამსწრე დეპუტატთა
ს ი ა

1. ვახტანგ ღამბაშიძე
2. ტარიელ ხუსკივაძე
3. ბადრი წაქაძე
4. კობა გოჩელეიშვილი
5. გოჩა გაბრიჭიძე
6. მაია ჩხეიძე
7. ნუგზარი ფერაძე
8. გალაქტიონ ვარდოსანიძე
9. ილია ფუტკარაზე
10. შალვა ხეცაძე
11. გიორგი კაკოიშვილი
12. უჩა ჩუბინიძე
13. რობერტ მახატაძე
14. ირაკლი კვეტენაძე
15. ჯემალი გორგოძე
16. იოსებ ჯანიაშვილი
17. ბუბა ნასრაძე
18. მამუკა კურტანიძე
19. ლაშა საყვარელიძე
20. ირმა გიორგაძე
21. დავით მიქაბერიძე
22. ამირან ზარნაძე
23. გოჩა მაჭავარიანი
24. გიგა გაბრიჭიძე

საკრებულოს თავმჯდომარე ვახტანგ ღამბაშიძე

ს ტ ა ფ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ს
2021 წ ლ ი ს 14 ს ე ქ ტ ე მ ბ რ ი ს ს ხ დ ო მ ი ს

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ი ს მ ო ა დ გ ი ლ ი ს თ. ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ი ს ა თ ვ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ს წ ე ვ რ ი ს უ ფ ლ ე ბ ა მ ო ს ი ლ ე ბ ი ს შ ე წ ყ ვ ე ტ ი ს ც ნ ო ბ ა დ მ ი ღ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ.

2. ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო შ ი ფ რ ა ქ ც ი ა ,,ქ ა რ თ უ ლ ი ო ც ნ ე ბ ა მ რ ე წ ვ ე-ლ ებ ი ს ა" დ ა ფ რ ა ქ ც ი ა ,,ქ ა რ თ უ ლ ი ო ც ნ ე ბ ა-კ ო ნ ს ე რ ვ ა ტ ო რ ებ ი ს" გ ა უ ქ მ ებ ი ს შ ე ს ა ხ ებ.

3. ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ უ რ ი უ ძ რ ა ვ ი ქ ო ნ ებ ი ს პ რ ი ვ ა ტ ი ზ ებ ი ს ნ უ ს ხ ი ს ა დ ა გ ე გ მ ი ს დ ა მ ტ კ ი ც ებ ი ს შ ე ს ა ხ ებ.

ა პ ა რ ა ტ ი ს უ ფ რ ო ს ი **დ ა ვ ი თ ბ ა რ ბ ა ქ ა ძ ე**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 14 სექტემბრის სხდომის

დღის წესრიგი:

დასაწ: 12 სთ 00 წთ.

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თ. საყვარელიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

(მომხსენებელი ტ. ხუსკივაძე - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია ,,ქართული ოცნება მრეწველებისა" და ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების" გაუქმების შესახებ.

(მომხსენებელი ტ. ხუსკივაძე - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

3. ზესტაფონის მუნიციპალური უძრავი ქონების პრივატიზების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი დ. მაღრაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი მოადგილე.)

აპარატის უფროსი **დავით ბარბაქაძე**